

ს ა ი ა თ - ნ ო ვ ა

ამ დღეებში ამიერ-კავკასიის მოძველებულ რესპუბლიკებში ერთსულად იფიქრებენ ამ მოსანს, რომელიც ერთდამაპე ჰანგებით, ერთდამაპე ექსპრესიით უმღერდა სიყვარულს ქართულს, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ეს იყო გამოჩენილი თავის დროს აშული საიათ-ნოვა.

ეს სამი ერი არაერთხელ შეხვედრისა ერთმანეთს ქართველი „მოსხების“, სომეხთა „ვიპასანების“ და აზერბაიჯანელთა „ოზანების“ რასობრივებში, ამ ერების წარსული კულტურა იმდენად დაახლოებულია ერთმანეთთან, რომ მეცნიერებაში შესაძლებელი გახდა ერთი „კავკასიური ტიპის“ კულტურის შესახებ ლაპარაკი ამ შეხვედრისა და კულტურული მახლობლობის კონკრეტულად, ხელშეხებად გამომხატველი შეიქმნა განსაკუთრებით საიათ-ნოვა. სომეხი წარმოშობით, ქართველი აღზრდილია და მოკლაქეობით, აზერბაიჯანელი აღმოსავლური ტრადიციებით. ის თავის თავს ერეკლე მეფის „სახანადრად“ თვლიდა, აზერბაიჯანულ ლექსებს სომხური ასოებით სწერდა. ზოლო სომხურს ქართულით; ახასტის მონასტრის კედლებში ჩამწეველია. ის აშულურ სიძებს უბრალო ინახავდა და ტრფობის მოტივებს დამღერდა. ასეთი იყო ეს საინტერესო, არაჩვეულებრივი „კავკასიის აშული“.

აშული ეწოდებოდა სახალხო მომღერალი, რომელიც აუცილებლად წვერი იყო ყოველგვარი სადღესასწაულო, საეკლესიო თუ სამხედრო შეკრებისა, რომელიც გადადიოდა ერთი კუთხიდან, ერთ ქალაქიდან მეორეში, მუსიკალური ინსტრუმენტზე ამღერებდა სატრფიანო-სამოქმედო ლექსებს და ხშირად მეფე-ფეოდალთა სასახლეებში გამო-

დიოდა როგორც პანეგირიკოსი. ტერმინი — აშული — წარმოშობით უკავშირდება არაბულ „აშის“, რაც მარტრდილეს, შეეყარებულს, მიჯნურს (სეცე არაბულია) ნიშნავს.

აშულური პოეზია არის მსუბუქი, გასართობი სატრფიანო პოეზია, რომელსაც ადგილი ჰქონდა ყველა ქვეყანაში. არსებობდა ის, ეჭვი არაა, თავიდანვე საქართველოშიც; რუსთაველიც ხომ ადასტურებს „სანადიმო, სამღერელი, სასოჟო და სალოლო ლექსი“ არსებობას ჩვენში! მეჩვიდმეტე საუკუნიდან, როდესაც მაჰმადიანურმა გავლენამ მძლავრად იჩინა თავი ჩვენში, აღმოსავლური ელფერი პოეზიის ამ დარგსაც დაეტყო. „კალმასობაში“ ითანე ამბობს: „ოდეს როსტომ მეფემ (1634-1658) მიიღო ქართლი, ამას დასწავლა სრულად სპარსთ კანონი და წესნი... და ამასთან საქრავნიცა შემოიღო და სიმღერაცა მათისავე ენითა და განამრავლა საქართველოსა შინა“. ამ დროიდან, ალბათ, აშულური პოეზიის ჩვენში „სპარსთა ხმით სიმღერა“ დაეკრევა.

ამ „სიმღერის“ ტრადიცია თანდათან ძლიერდებოდა ჩვენში. ირაკლის დროს მასში გარდამტეხა მოხდა: სპარსულ ხმაზე, სპარსული მაგიერ, ქართული ლექსების სიმღერა დაუწყიათ. ამ საქმის დამწყვეტი საიათ-ნოვა ყოფილა. „მე ვიცოდი ჩონჯური კარგად“, — ამბობს ის „კალმასობაში“, — და ამასთან სპარსულ ხმებზედ გაცაკეთე ქართული ლექსებე. გჯერ არ იყო შემოდებული და, როდესაც მეფემან ირაკლი ინება მეჩლიში და მიგვიყვანეს მოსაყარეენი, მაშინ მე სპარსულს ხმით ქართულად ვიმღერე. ბატონს დიდად იმა და ხალათიც

მიბოძა. და მერეთ სხვათაც მრავალთა თქუეს და მომბაძეს“.

საიათ-ნოვა პირველი რანგის აშული იყო: საუცხოო დამკერველი. ტკბილად მომღერალი და ლექსთა ნაყოფიერი გამომთქმელი, მისი სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის სხვის ლექსებს კი არ ამღერებდა, არამედ თავის საკუთარს. ის სამს ენაზე მღერობდა: ქართულზე, სომხურზე და აზერბაიჯანულზე. დღეს გაცხოველებული მუსიკა სწარმოებს მისი აშულური-პოეტური შემოქმედების შესასწავლად: ქართველების, სომეხებისა და აზერბაიჯანელების მეცნიერები და მწერლები ერთიმეორეს ეჯარბებიან მისი ლექსების შეყრება-გამოცემასა. გადათარგმნასა და გააზრებაში. აზერბაიჯანულად დარჩენილია 115 ლექსი საიათ-ნოვასი, სომხურად 60, ქართულად კი, ავტორის საკუთარი სახელით და სტეფანე მკერვალის თუ მაჯანუხის ფსევდონიმით ოროციამდე.

ა უდიდესი. ნაწილი საიათ-ნოვას ქართული ლექსებისა სატრფიანო სამიჯნურთა. ეს ლექსები ამოგვეჯლია მისია გედიდან, არა მარტო აშულის ოფიციალური მოვალეობით და დაინიშნულებით, არამედ ნამდვილი განცდილია და გრძნობით: ცნობილია საიათ-ნოვას რომანტიული თავგადასავალი, როგორც ცოლის შერთვამდე, ისე დაქვრებების შემდეგაც. არ არის მოკლებული მისი პოეზია არც სამოქალაქო მოტივებს, რამდენადაც ის თავისთვის გრძნობს საქართველოს მოქალაქედ და „ყმად“ ირაკლისა და გიორგისა, განსაკუთრებით პირველისა.

საიათ-ნოვას განათლება. მისივე სიტყვით, „ანა-ბანას ცოდნას არ დაცილებია. ამან, რასაკვირველია, დალი დაასვა მის ლექსებსაც. მიუხედავად ამისა, საიათ-ნოვას შე-

მოქმედებს თავის დროისათვის უღა-ვო მნიშვნელობა ჰქონდა:

1. ის იყო, როგორც ვთქვი, პირველი რანგის აშული, რომელმაც ეს დარგი პოეზიისა მალა სავსებურად აიყვანა ჩვენში. მისი ჰანგები, მისი ეპიგონების სიმღერა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში კი ის-მისი და ერთგვარ გავლენას ახდენს ისეთ პოეტებზედაც კი, როგორც არიან ბესილი, ალ. ჰაქავაძე და გრიგოლ ორბელიანი.

2. მან პოეზია ჩამოიყვანა საშუალო მოქალაქეთა და ლარბი ხელოსანთა წრებზე და თავისებური დემოკრატიული სული შთაბერა მას.

3. ის, როგორც შეგხვეული და აღგზნებული პატრიოტი საქართველოსი, თავდადებული „მოხა“ ერეკლესი და გიორგისა, ჯანსაღ მამულიშვილურ გრძნობებს აღვივებდა იმდროინდურ საზოგადოებაში. მისი პატრიოტული სულისკვეთება და სიძულელი სისხლისმღვრელი დამპყრობლებისადმი ლამაზი ლევენილი შეუშოსა მომდევნო თაობას, რომელსაც, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისთან დაკავშირებით, სამშობლო-სიყვარულის წამებულის გვირგვინი დაუდგამს მისთვის თავზე.

4. როგორც მომდებალი ქართველების, სომეხების და აზერბაიჯანელების ენებზე, როგორც თანაბრად მოყვარული ამ ენებისა, ის ჩვენ გველი-ენება, როგორც საერთაშორისო, ამიერკავკასიის მასშტაბით, პოეტი, ის თავისი ცხოვრებით და საქმით ეხმაურება ჩვენს ეპოქას, დიდი სტალინის ხალხთა მეგობრობისა და პოლიტიკურ-კულტურული სოლიდარობის მოძღვრებას. ამაშია მისი მოღვაწეობის, მისი შემოქმედების პროგრესულობა, რომელიც გამოძახილს პოულობს დღეს საბჭოთა კავშირის ხალხთა დემოკრატიულ იდეებსა და მისწრაფებაში.